გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
15.11.2018	15.11.2018

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შ.პ.ს. ,,მეტრა პრაიმი" 204870292
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1642941
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1642941

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, ჩახრუხაძის ქუჩის მიმდებარედ საზოგადოებრივ სივრცესა და ტერიტორიაზე დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობა, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, №2 დანართით დადგენილი მოძრაობის უსაფრთხოების სქემის შესაბამისად, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით.
სამუშაოების დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში
2. ბრძანება ძალაშია მისი გაცნობიდან 2 (ორი) თვის ვადით.

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 6 18 02680079

02/11/2018

ს.ს. "მეტრა პრაიმი"-ს წარმომადგენელს ი. გვალიას
ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 37დ ბ. 30;
თქვენს 2018 წლის 1 ნოემბრის განცხადებაზე
ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის
მოადგილეს ბ–ნ ლაშა ჯოხაძეს

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ჩახრუხაძის N25-ის მიმდებარედ სამშენებლო დამცავი ღობის განთავსებას და შენობის დემონტაჟის სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი და მუდმივი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობას და ქ. თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ მ/წლის 3 ოქტომბრის N QN1631903 გადაწყვეტილებას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს წარმოდგენილ დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ ზემოაღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
- შენობის დემონტაჟის სამუშაოები განხორციელდეს თანხმობის გაცემიდან ორი თვის ვადით, პერიოდულად გზის სავალი ნაწილის სრული ჩაკეტვით სპეცტექნიკის განთავსების მიზნით.
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;

- სამუშაოების დაწყების და დამთავრების შესახებ წინასწარ ეცნობოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241-85-04; 241-85-05);

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 11 ფურცლად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01183032816**
თარიღი: **30/10/2018**
პინი: **5554**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: იაკობ გვალია
პირადი ნომერი: 01005004078
მისამართი: თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 37დ ბ. 30

შპს „მეტრა პრაიმის“ წარმომადგენელს
ბატონ იაკობ გვალიას

ბატონო იაკობ,

თქვენი მ/წლის 22 ოქტომბრის განცხადებით (მერიაში რეგისტრაციის №19/01182953543-16; 22.10.2018წ.) წარმოდგენილი მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სამსახურის მიერ შეთანხმებულია.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დანართი: 12 ცალი A3 ფორმატი.
პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების
განვითარების სააგენტო
ად. მიცკევიჩის ქ., 29

TBILISI MUNICIPALITY
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

PROPERTY MANAGEMENT AGENCY

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

გაცნობის თარიღი

05.10.2018

გაცემის თარიღი

03.10.2018

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შ.პ.ს. ,,მეტრა პრაიმი" 204870292
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1631903
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1631903

1. საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან შეთანხმებული დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემები(ღობის მოწყობის სამუშაოების და დასრულებული ვარიანტები). ასევე, ველში "სამუშაოს ტიპი:" ასარჩევია "სხვა სამუშაოების წარმოება".
2. ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად განმცხადებელს მიეცეს 20 (ოცი) დღის ვადა. ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, განცხადება დარჩეს განუხილველი.

საფუძველი:

"ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის #13-42 დადგენილება


"შეთანხმებულია"
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი
მ.მუმლაძე
თარიღი 30 / 10 /2018
"შეთანხმებულია"
ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე
ი.ჯოხაძე
თარიღი
1.26
1.21.2
1.21.3
2.5
2.6
3.24
3.24
4.2.1
4.2.2
შ. ნიშნიანიძის ქ.
ნაკაშიძეების შეს.
შავთელის შეს.
შავთელის ჩიხი
eklesia
დროებითი სქემა
(მშენებლობის პერიოდში)

"შეთანხმებულია"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი

თარიღი 30/10/2018 მ.მუმლაძე

"შეთანხმებულია"

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

თარიღი __/__/2018 ი.ჯოხაძე



დაკვეთა: საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

დირექტორი: გუგა დათუკიშვილი

Free ARCHITECTS



"შეთანხმებულია"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი მ.მუმლაძე

თარიღი 30 / 10 / 2018

"შეთანხმებულია"

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ი.ჯორხაძე

თარიღი

შპს "თავისუფალი არქიტექტორები"

დამკვეთი

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

გუგა დათუკიშვილი

Free ARCHITECTS

ხელმოწერ

სილქნეტი
SILKNET
ყველაფერი კავშირშია

N 4396/24-8 "26" 09 2018

შპს „მეტრა პრაიმი“-ს წარმომადგენელს
ი. გვალიას, ტელ: 599-56-28-08

მოგესალმებით,

თქვენგან შემოსული წერილი (8/5614 – 20-09/2018)-ს პასუხად, რომელიც მოიცავს მის. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ჩახრუხაძის ქ #25-ში (ს/კ: 01.18.03.016.002) ავარიული შენობის დაშლა-აღდგენის სამუშაოების წარმოებას, სადაც განთავსებულია სს „სილქნეტი“-ს კომუნიკაცია, რომლის გადატანასაც თავად უზრუნველყოფთ, გსურთ შეგითანხმოთ დაგეგმილი სამუშაოების ჩატარება.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ნამდვილად ფიქსირდება სს „სილქნეტი“-ს კუთვნილი კომუნიკაციები.

სს „სილქნეტი“ თანახმაა შპს „მეტრა პრაიმმა“ აწარმოოთ ავარიული შენობის დემონტაჟი თანდართული ხელშეკრულების სრული გათვალისწინებით.

სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია გამოძახებული იქნას სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელი. ოპერატიული მართვა: 2 95 00 29; 2 93 27 40.

პატივისცემით

ტექნიკური დირექტორის მოადგილე
რევაზ ღვინიაშვილი

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ: (+995 32) 2 100 100
ფაქსი: (+995 32) 2 100 001

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Phone: (+995 32) 2 100 100
Fax: (+995 32) 2 100 001

სილქნეტი
SILKNET

ხელშეკრულება #_____

"26" სექტემბერი 2018 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სს „სილქნეტი", სააქციო საზოგადოება შექმნილი და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95, საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978, (შემდგომში ,,სილქნეტი") წარმოდგენილი სს „სილქნეტის" კომერციული დირექტორის ნუგზარ ჩინჩალაძის სახით

და

[illegible] სააქციო საზოგადოება შექმნილი და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჩახრუხაძის ქ. №25 , საიდენტიფიკაციო კოდი: 204870292 , (შემდგომში ,დამკვეთი") წარმოდგენილი სს „მეტრა პრაიმის" დირექტორის ნატალია გლინსკაიას მინდობილი პირის იაკობ გვალიას (პ/ნ: 01005004078) სახით მოქმედი 2018 წლის 24 სექტემბერს გაცემული მინდობილობის საფუძველზე

ცალცალკე მოხსენიებული როგორც ,,მხარე", ხოლო ერთად როგორც ,,მხარეები"

ხელშკრულების მიზნებისთვის, დამკვეთი ქ.თბილისში, კრწანისის რაიონი, ჩახრუხაძეს ქუჩა #25-ის (01.18.03.016.002) ტერიტორიაზე (შემდგომში „ობიექტი") სურს სამშენებლო სამუშაოების ჩატარება (შემდგომში „სამშენებლო სამუშაოები). „მხარეებისთვის" ცნობილია, რომ აღნიშნულ მისამართზე/"ობიექტზე" განთავსებულია სს „სილქნეტის" კუთვნილი საკომუნიკაციო კაბელი/ელემენტი (შემდგომში „საკომუნიკაციო ელემენტი") რომლის საფუძველზეც, „მხარეები" ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 წინამდებარე „ხელშეკრულების საფუძველზე, „სილქნეტი" თანახმაა და დამკვეთს აძლევს უფლებას, რომ ქ.თბილისში, კრწანისის რაიონი, ჩახრუხაძეს ქუჩა #25-ის (01.18.03.016.002) ტერიტორიაზე - "ობიექტზე" განახორციელოს „სამშენებლო სამუშაოები", შემდეგი პირობების საფუძველზე:

1.1.1 სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე 3 (სამი) თვით ადრე ან/და სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შესახებ ნებართვის/უფლების/თანხმობის აღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს „სილქნეტთან" ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული ტერიტორიიდან „სილქნეტის" კუთვნილი საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება და შესაბამისი ღირებულების გადახდა.

1.1.2 „სამშენებლო სამუშაოების" წარმოებისას „სილქნეტის" კუთვნილი „საკომუნიკაციო ელემენტის" აღმოჩენის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია შეაჩეროს „სამშენებლო სამუშაოები" და დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 1 დღის ვადაში) აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „სილქნეტს". „სილქნეტი" ინფორმაციის მიღების შემდგომ, შეისწავლის „ობიექტს" და განიხილავს დამკვეთის მიერ წარმოდგენილ „სამშენებლო სამუშაოების" პროექტს/ნახაზებს. იმ შემთხვევაში, თუ „სილქნეტი" ჩათვლის რომ, „სამშენებლო სამუშაოების" ჩატარებისთვის საჭიროა „სილქნეტის" კუთვნილი „საკომუნიკაციო ელემენტის" გადატანითი სამუშაოების განხორციელება, აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობებს დამკვეთს. აღნიშნული წერილის მიღების შემდგომ და მის საფუძველზე, დამკვეთი იღებს უპირობო ვალდებულებას „სილქნეტთან" გაფორმებული შესაბამის ხელშეკრულების საფუძველზე. სრულად აანაზღაუროს საკომუნიკაციო ელემენტების გადატანითი და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ღირებულება.

1.2 „ხელშეკრულების" მიზნებისთვის 1.1.1. და 1.1.2. ქვეპუნქტში აღნიშნული საკომუნიკაციო ელემენტ(ებ)ის გადატანითი სამუშაოების ჩატარება მოიცავს:

1.2.1 საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების ჩატარებისთვის პროექტის მომზადებას. პროექტის ღირებულება და ტარიფები განისაზღვრება „სილქნეტში" დადგენილი სტანდარტების და ტარიფების შესაბამისად.

1.2.2 შედგენილი პროექტის საფუძველზე, დადგინდება საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების ჩატარების ღირებულება და „სილქნეტი", დამკვეთის მიერ პროექტით გათვალისწინებული ღირებულების სრულად გადახდის შემდგომ, უზრუნველყოფს საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების ჩატარებას.

1.3 **დამკვეთი აცხადებს და ადასტურებს, რომ:**

1.2.1 მისთვის ცნობილია, რომ "საკომუნიკაციო ელემენტები" წარმოადგენენ სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფ ნაგებობას და დაუშვებელია საკომუნიკაციო ელემენტების ნებისმიერი სახით ხელყოფა და მისი მფლობელი ნებართვის/თანხმობის გარეშე საკომუნიკაციო ელემენტებზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება ან/და გადატანა.

1.2.2. პასუხისმგებელია ნებისმიერი (პირდაპირი ან/და არაპირდაპირი) სახის ზიანსა და ზარალზე, რომელიც შესაძლოა „სილქნეტს" მიადგეს მისი ან/და მასთან ნებისმიერი ფორმით დაკავშირებული მესამე პირების ქმედებით, წინამდებარე „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო.

1.2.3. „სილქნეტის" წინასწარი ნებართვის და თანხმობის გარეშე არ განახორციელებს „სამშენებლო" და მასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებას/ჩატარებას. შესაბამისად საკომუნიკაციო ელემენტ(ებ)ის გადატანითი სამუშაოების საჭიროების შემთხვევაში, „სამშენებლო" სამუშაოებს დაიწყებს მხოლოდ „სილქნეტის" მიერ სამუშაოების დასრულების შემდგომ (იმ შემთხვევების გარდა, თუ არსებობს „სილქნეტის" წინასწარი ნებართვა/თანხმობა „სამშენებლო სამუშაოების" პარალელურ რეჟიმში განხორციელების შესახებ).

1.2.4. „სილქნეტს" არ შეუქმნის რაიმე სახის დაბრკოლებას და უარს არ განაცხადებს საკომუნიკაციო ელემენტ(ებ)ის, პროექტის შედგენის, მისი გადატანის და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ღირებულებ(ებ)ის გადახდაზე.

1.2.5. დამკვეთი „სილქნეტს" და მის („სილქნეტის") თანამშრომლებს/პერსონალს/წარმომადგენლებს („სილქნეტის" ქვეკონტრაქტორებს), ნებისმიერ დროს ყოველგვარი შეზღუდვის და დაბრკოლების/ხელშეშლის გარეშე (24 საათის განმავლობაში), დაუშვებს „ობიექტზე"და მას მისცემს „სილქნეტის" კუთვნილი ხაზობრივი ნაგებობის/საკომუნიკაციო ელემენტის აღდგენითი, დათვალიერებითი, პროფილაქტიკური და სხვა სახის სამუშაოების ჩატარების უფლებას.

1.2.6. დამკვეთი და მასთან ნებისმიერი ფორმით დაკავშირებული მესამე პირების მიერ, „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „ობიექტზე" „სილქნეტის" საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ელემენტის/ხაზობრივი ნაგებობის, დაზიანების/მწყობრიდან გამოსვლის

შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს „სილქნეტს" და ყველა სათანადო მესამე პირს აღნიშნულის შედეგად მიყენებული (პირდაპირი/არაპირდაპირი) ზიანი/ზარალი.

1.3. „ხელშეკრულების" მიზნებისთვის, ყოველგვარი დავისა და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, „მხარეები" თანხმდებიან და აღიარებენ, რომ „სილქნეტის" მიერ გადატანილი საკომუნიკაციო ელემენტი (მათ შორის, ამენებული ხაზობრივი ნაგებობა, კაბელი, მოძრავი ნივთი და სხვა) უპირობოდ წარმოადგენს სს „სილქნეტის" საკუთრებას. შესაბამისად „სილქნეტი" უფლებამოსილია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოახდინოს აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის მის („სილქნეტის") საკუთრებაში რეგისტრაცია.

2. „მხარეთა" უფლება–მოვალეობები

2.1 დამკვეთი ვალდებულია.

2.1.1 დამკვეთი სრული მოცულობით პასუხს აგებს და ვალდებულია სრულად აანაზღაუროს, „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების საფუძველზე, „სილქნეტისთვის" და მესამე პირებისთვის მიყენებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახის ზიანი/ზარალი (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება „სამშენებლო სამუშაოების" მსვლელობისას „საკომუნიკაციო ელემენტის" დაზიანება და სხვა).

2.1.2 ხაზობრივი ნაგებობის/საკომუნიკაციო ელემენტის საავარიო, აღდგენით ან/და პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების მიზნით (მათ შორის ნებისმიერი მიზნით საჭიროების არსებობის შემთხვევაში) დაუშვას „სილქნეტის" ან/და „სილქნეტის" მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირები ტერიტორიაზე და შესაბამისად, „სილქნეტი" უფლებამოსილია ყოველგვარი ხელშეშლისა და დაბრკოლების გარეშე აღნიშნულ ტერიტორიაზე განახორციელოს ყველა სახის საჭირო სამუშაოები, ასევე მიწის ან/და ნებისმიერი ტიპის ზედაპირის (ბეტონი, გრუნტი, ასფალტი, ფილები და სხვა) გათხრა/დემონტაჟი და მასთან დაკავშირებული სამშაოები. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ „სილქნეტის" მიერ ზემოაღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდგომ, დამკვეთი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს ნებისმიერი სხვა ტიპის ზედაპირის აღდგენას /პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას.

2.1.3 საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს ნებისმიერი ტიპის ზედაპირის აღდგენას /პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას.

2.1.4 დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მსგავსი სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისთვის დადგენილი წესები, მათ შორის გარემოსდაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების ნორმები, ასევე პასუხი აგოს „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებაზე;

2.1.5 „სილქნეტის" მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს „ობიექტზე" სამშენებლო „სამუშაობის" შეჩერება.

2.1.6 „საკომუნიკაციო ელემენტის" დაზიანების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია „სილქნეტს" და „ობიექტზე" შეაჩეროს სამშენებლო „სამუშაოების" წარმოება.

2.1.7 ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები.

2.2 „სილქნეტი" უფლებამოსილია:

2.1.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს „სამშენებლო სამუშაოების" მიმდინარეობა და მიიღოს დამკვეთისგან ყველა საჭირო ინფორმაცია "სამუშაოების" მიმდინარეობის შესახებ.

2.1.2 იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდება ან/და სრულდება არაჯეროვნად, ასევე თუ სამშენებლო „სამუშაოების" წარმოება საფრთხეს უქმნის „საკომუნიკაციო ელემენტს", „სილქნეტი" უფლებამოსილია დამკვეთს მოსთხოვოს სამშენებლო „სამუშაოების" დაუყოვნებლივ შეჩერება (აღნიშნულ შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია შეაჩეროს სამშენებლო „სამუშაოები") და „საკომუნიკაციო ელემენტის" დაზიანებისგან თავის არიდების მიზნით შესაბამისი ზომების მიღება.

3. პასუხისმგებლობა

3.1. დამკვეთის მიერ (ინიციატივით), „ხელშეკრულების" ცალმხრივად შეწყვეტის („ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში), აგრეთვე, „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დამკვეთს დაეკისრება „სილქნეტისთვის" მიყენებული (პირდაპირი/არაპირდაპირი) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მაგრამ არანაკლებ პირგასამტეხლო თანხით 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით (შემდგომში „ჯარიმა"). აღნიშნული პირგასამტეხლოს გადახდას დამკვეთი უზრუნველყოფს „ხელშეკრულების" შეწყვეტიდან/ვალდებულების დარღვევიდან ან/და „სილქნეტის" მიერ დამკვეთისთვის გაგზავნილი შეტყობინებიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, „სილქნეტის" საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით;

3.2. „სამშენებლო სამუშაოების" ჩატარებისას დამკვეთის ან/და მესამე პირების მიერ „საკომუნიკაციო ელემენტის" დაზიანების შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებული აღნიშნული დაზიანებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში უზრუნველყოს დაზიანებული „საკომუნიკაციო ელემენტის" აღდგენა „სილქნეტის" ზედამხედველობის ქვეშ და მისი პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი რაიმე ფორმით უარს განაცხადებს „საკომუნიკაციო ელემენტის" აღდგენაზე და მის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებაზე, იგი ვალდებულია არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „სილქნეტს" სრული მოცულობით აუნაზღაუროს „სილქნეტის" მიერ დამკვეთისთვის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დაზიანებული „საკომუნიკაციო ელემენტის" შეკეთების/აღდგენის და მისი პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების სრული ხარჯები. აღნიშნული თანხის გადახდის შემდგომ, „სილქნეტი" თავად უზრუნველყოფს „საკომუნიკაციო ელემენტის" აღდგენას და მის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ ჩატარებული „საკომუნიკაციო ელემენტის" პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების/აღდგენის სამუშაოები არ შეესაბამება „სილქნეტის" მიერ მოთხოვნილ პირობებს და ტექნიკურ ნორმებს, დამკვეთი ვალდებულია არაუგვიანეს შესრულებული სამუშაოები გამოასწოროს „სილქნეტის" შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, „სილქნეტი" თავად უზრუნველყოფს სამუშაოების ჩატარებას, ხოლო დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს სილქნეტს აღნიშნული სამუშაოების ჩატარების ხარჯები სრულად.

3.4. დამკვეთი თავად არის პასუხისმგებელი და ვალდებულია აანაზღაუროს „სამშენებლო სამუშაოების" წარმოების საფუძველზე, „სილქნეტისთვის" და მესამე პირებისთვის მიყენებულ (პირდაპირი ან/და არაპირდაპირი) ზიანი/ზარალი.

4. „ხელშეკრულების" სხვა პირობები

4.1. „ხელშეკრულება" ძალაში შედის „მხარეთა" მიერ „ხელშეკრულების" ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს „მხარეთა" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

4.2. „ხელშეკრულების" დანართები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენენ „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

4.3. „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს ''ხელშეკრულების'' შესაბამისი წინადადების (წინადადებების)

ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება "ხელშეკრულების" სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) "ხელშეკრულების" შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიეწიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

4.4. „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების" ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ნუმერაციაში და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება მითითებული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაბამისი შინაარსის მქონე ხელშეკრულების მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

4.5. "მხარეთა" შორის წარმოშობილი უთანხმოებანი წყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს საქართველოს შესაბამისი სასამართლო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.6. „მხარეები" თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, „სილქნეტის" სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

4.7. "ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობით, "მხარეთა" შეთანხმებით;

4.8. „ხელშეკრულება" შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „სილქნეტს", ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი „დამკვეთს".

სს „სილქნეტი"

ნუგზარ ჩიწჩალაძე
კომერციულის დირექტორი

სს „მეტრა პრაიმი "

იაკობ გვალია
მინდობილი პირი

მეტრა

15 ნოემბერი, 2018 წელი

თანხმობის წერილი

მე, ნატალია გლინსკაია (პირადი ნომერი 01003010159), როგორც სს "მეტრა პრაიმის" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204870292) დირექტორი ვადასტურებ, რომ სს "მეტრა პრაიმი" წარმოადგენს ქ. თბილისში ჩახრუხაძის ქ. №25-27-ის მიმდებარედ, შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტროქვესადგურთან არსებული 190 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.18.03.016.045) მესაკუთრეს და ვაცხადებ თანხმობას მასზედ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, როგორც 01.18.03.016.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთზე, განთავსებულ იქნეს დროებითი შენობა-ნაგებობები, სსიპ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში" წარდგენილ №AR1622636 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

სს "მეტრა პრაიმი"-ს
დირექტორი
ნატალია გლინსკაია

შპს "მეტრა პრაიმი" - ს/კ 204870292
ზურაბ საკანდელიძის ქუჩა 6
0162 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 60 44 45
info@metra.ge I www.metra.ge